ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა №71

ქ. თბილისი

10 აგვისტო 2015 წელი

შემსყიდველი: საჯარო სამართლის იურიდიული პირი კიბერუსაფრთხოების ბიურო (შემდგომში "შემსყიდველი"), დირექტორი ანდრია გოცირიძის სახით მისამართი: ქ. თბილისი, ც. დადიანის №30. ს/კ 200280622;

მიმწოდებელი: შპს ,,ტტ მოტორსი"-ს გაყიდვების მენეჯერი ბესიკ გაგუნაშვილის სახით, მისამართი ქ. თბილისი, გლდანი-ნაძალადევის რაიონი, გურამიშვილის გამზირი №15;
საიდენტიფიკაციო კოდი: **400104542, სს. საქართველოს ბანკის, ბანკის კოდი BAGAGE22, ანგარიშის ნომერი GE24BG 0000000 547218700.**

"გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის I პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის შესაბამისად გამარტივებული შესყიდვის საშუალებით დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში – ხელშეკრულება) შემდეგზე:

1.ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია "გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის I პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, მსუბუქი ავტომობილის საბურავების (CPV 34351100) შესყიდვა, დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

2. ხელშეკრულების ღირებულება

2.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **1960** (ერთიათასცხრაასსამოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს დღგ-ს ჩათვლით.

3. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

3.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.
3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება იწარმოებს მიწოდებული საქონლის მიღება-ჩაბარების აქტისა და შესაბამისი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე.
3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტზე შემსყიდველის მიერ ხელმოწერიდან 30 კალენდარული დღის განმავლობაში.

4. საქონლის მიღების ადგილი და ვადა

4.1. საქონლის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, ც. დადიანის ქ. N30;
4.2. საქონლის მიწოდება განხორციელდება 2015 წლის 20 აგვისტოს ჩათვლით.

5. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

5.1. შემსყიდველი ვალდებულია უზრუნველყოს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
5.2. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს მიწოდებული საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.
5.3. მიმწოდებელი ვალდებულია მიაწოდოს საქონელი იმ ვადაში, რომელიც მითითებულია ხელშეკრულების 4.2 პუნქტში.

6. პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გაშვების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,1%-ის ოდენობით.

6.2. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისაგან.

7. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

7.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

7.2. ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

7.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.

7.4. ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

7.5. მხარე ვალდებულია 8.4. პუნქტით გათვალისწინებულ გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 5 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

7.6. ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

8. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი და მიღება ჩაბარების წესი

8.1. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს განახორციელებს სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიუროს ადმინისტრაციული დეპარტამენტი, რომელსაც შეუძლია ინსპექტირება განახორციელოს ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე და წარმოადგენს საკონტაქტო პირს.

8.2. შესყიდვის ობიექტის მიღება–ჩაბარება ფორმდება მიღება–ჩაბარების აქტით, სათანადო სასაქონლო ზედნადების თანდართვით, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

9. დაუძლეველი ძალა

9.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია აუცდენელი დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

10. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

10.1 ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

11. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

11.1 ხელშეკრულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2015 წლის 20 ნოემბრის ჩათვლით.

შემსყიდველი:

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო

დირექტორი

ანდრია გოცირიძე

მიმწოდებელი:

შპს ,,ტტ მოტორსი

გაყიდვების მენეჯერი

ბესიკ გაგუნაშვილი

ხელშეკრულება №71-ის დანართი №1

ქ. თბილისი

10.08.2015 წელი.

№	დასახელება	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება (ლარი)	საერთო ღირებულება (ლარი)	CPV
1	მსუბუქი ავტომობილის საბურავები	ცალი	4	490	1960	34351100
საერთო ღირებულება: 1960 ლარი						

შემსყიდველი:

სსიპ - კიბერუსაფრთხოების ბიურო

დირექტორი

ანდრია გოგცირიძე

მიმწოდებელი:

შპს „ტტ მოტორსი"

გაყიდვების მენეჯერი

ბესიკ გაგუნაშვილი